

გაეროს სპეციალური მომხსენებლის კატალინა დევანდასის მიმართვის დეტალები

„მიუხედავად იმისა, რომ შშმ პირების უმეტესობა მაღალ რისკ-ჯგუფს წარმოადგენენ, მხოლოდ მცირედი გაკეთდა მათი საჭირო მხარდაჭერითა და რეკომენდაციებით უზრუნველსაყოფად, მიმდინარე კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში. ამის თაობაზე შეშფოთება გამოთქვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებლმა კატალინა დევანდასმა.

„შშმ პირები ისე გრძნობენ თავს, თითქოს ისინი დატოვეს პროცესს მიღმა“ - აღნიშნა გაეროს ექსპერტმა ადამიანის უფლებათა საკითხებში, - „ვირუსის გავრცელების შემაკავებელი ზომების მიღება, როგორცაა სოციალური დისტანციის დაცვა და თვითიზოლაცია, შესაძლოა შეუძლებელი იყოს მათთვის, ვისაც სხვა პირთა მხარდაჭერა ესაჭიროებათ კვების, ჩაცმისა და დაბანის პროცესში.“

„აღნიშნული მხარდაჭერა ამ პირთა გადარჩენისთვის არის საბაზისო მნიშვნელობის და სახელმწიფოებმა სოციალური დაცვის დამატებით ზომებს უნდა მიმართონ, რათა ამ პერიოდში გარანტირებული იყოს უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვით მხარდაჭერის მიღების უწყვეტობა.“

ექსპერტი ხაზს უსვამს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოების სხვა წევრებთან კონტაქტისა და დაინფიცირების რისკის შესამცირებლად გონივრული მისადაგების ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობას. შშმ პირებს უნდა მიეცეთ სახლიდან მუშაობის ან ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა, რათა გარანტირებულ იქნას მათი შემოსავლების უსაფრთხოება. ამასთანავე, შესაძლოა გონივრული მისადაგების ზომების გამოყენება მოითხოვონ შშმ პირთა ოჯახის წევრებმა და მხარდამჭერმა პირებმა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათ მიერ შშმ პირთათვის სათანადო მხარდაჭერის გაწევა.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ოჯახების სიღარიბისა და მოწყვლადობის დონის გაზრდის რისკის შესამცირებლად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას“ - განმარტა ექსპერტმა.

„ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი დამოკიდებულია იმ სერვისებზე, რომლებიც ახლა შეჩერებულია. ამის გამო, მათ შეიძლება არ ჰქონდეთ საკუთარი სახსრებით საკვების, წამლების მომარაგებისა და დამატებითი ხარჯების გაღების შესაძლებლობა ადგილზე მიტანის სერვისის საფასურისთვის.“

დევანდასმა ასევე აღნიშნა, რომ შშმ პირების მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა ინსტიტუციებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და ციხეებში. დაინფიცირების მაღალი რისკისა და გარე ზედამხედველობის ნაკლებობის გარდა, სიტუაციას ამძიმებს აღნიშნულ დაწესებულებებში სამედიცინო საჭიროების გამო სასწრაფო გადაუდებელი დახმარებით სარგებლობასთან დაკავშირებული სირთულეები.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად დაწესებული შეზღუდვები მორგებული უნდა იყოს სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებზე, ამასთან, გამოყენებულ უნდა იქნას ყველაზე ნაკლებად ინვაზიური საშუალებები,“ -თქვა მან, - „საყვარელ ადამიანებთან კონტაქტის შეზღუდვამ, შესაძლოა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სრულად დაუცველი გახადოს დაწესებულებებში ნებისმიერი ფორმის ძალადობისა და უგულვებელყოფის მიმართ.“

„სახელმწიფოებს ეკისრებათ უფრო მაღალი პასუხისმგებლობა მოსახლეობის ამ ნაწილის მიმართ, იმ სტრუქტურული დისკრიმინაციის გამო, რასაც ისინი განიცდიან.“

გაეროს ექსპერტის მითითებით, შშმ პირები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ მათ სიცოცხლეზე ზრუნვა პრიორიტეტულია. შესაბამისად, იგი მოუწოდებს სახელმწიფოებს შეიმუშაონ მკაფიო პროტოკოლები საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანგებო სიტუაციებისთვის, რათა სამედიცინო რესურსების სიმწირისა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებებზე, მათ შორის სიცოცხლის შემანარჩუნებელ საშუალებებზე შეზღუდული წვდომის პირობებში, არ ჰქონდეს ადგილი დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ.

„კორონავირუსის პრევენციასა და შეჩერებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ყველა პირის თანაბარ წვდომას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს პანდემიასთან გასამკლავებლად.“

„საზოგადოებრივი საკონსულტაციო კამპანიების ფარგლებში და ჯანმრთელობის ეროვნული უწყებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია მიწოდებული უნდა იქნას შესტურ ენაზე, ამასთან, მისაწვდომი საშუალებების, რეჟიმებისა და ფორმატების გამოყენებით, ციფრული ტექნოლოგიის, ტიტრების, მობილური შეტყობინებების, ხმოვანი სერვისების, ადვილად წაკითხვადი და გამარტივებული ენის ჩათვლით.“

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებს უნდა გაეწიოთ სათანადო კონსულტაცია და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ჩართულობა კოვიდ-19-თან ბრძოლის ყველა ეტაპზე,“ აღნიშნა დასკვნის სახით დევანდასმა.

